ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 11/78

2022წლის 31 ოქტომბერი

ქალაქი ფოთი

ევროკავშირის (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ , „ურბანული გარდასახვის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი გრანტის ხელშეკრულების გაფორმებაზე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის №1990 და 2020 წლის 31 დეკემბრის №2674 განკარგულებების შესაბამისად:

მუხლი1.
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს საკრებულოს წინასწარი თანხმობა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ გამოყოფილი გრანტის 60 000 (სამოციათასი) ევროს (ექვივივალენტი ლარის)მიღების მიზნით.

მუხლი2.
მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიასა და საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელმძღვანელს შორის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე.

მუხლი3.
აღნიშნული განკარგულების შესრულებასთან დაკავშირებით ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს/მერის მოვალეობის შემსრულებელს მიენიჭოს ყველა უფლებამოსილება.

მუხლი4.
აღნიშნული განკარგულების შესრულებასთან დაკავშირებით ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა/მერის მოვალეობის შემსრულებელმა განახორციელოს ღონისძიებები.

მუხლი5.
განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი6.
განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე ტყებუჩავა